ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 95
(11 756)

9 - 11 დეკემბერი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერში:

- ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის კენჭისყრა
- ქართველები ქიუდის ევროპულ მწვერვალზე
- ძვეგ დარგაისლების სხოვნისა
- პრეზიდენტის ჩემპიონატის შუალედური ფინიში
- კლიჩკო ლიუისი რიგში ჩააყენა
- გოგალიზგორის ეროვნულთათვის
- საჭადრაკო ამოცანა. კროსვორდი

მერაბ ჭორდანია: „ცრუმა კიდევ მადროვეთ“

ნაკრების მწვრთნელის ვინაობას იანვარში გაიგებთ

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფრანკფურტის კენჭისყრიდან ახლახან დაბრუნებულ სფფ-ს ვიცეპრეზიდენტ მერაბ ჭორდანიას ახალ ინფორმაციას მოუთმენლად ველოდით. სწორედ მასალოდნელ სიახლეებს მიეძღვნა სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჭორდანის გუშინდელი პრესკონფერენცია, რომელსაც ჟურნალისტთა საკმაოდ წარმომადგენლობითი რაოდენობა დაესწრო.

დასაწყისში, სფფ-ს პრეზიდენტმა კვლავ ამორტიზებულ ე.წ. თბილისის „დინამოს“ საქმეზე ილაპარაკა — „ერთხელ და სამუდამოდ მინდა განვაცხადო, საქმე ეხება არა რომელიმე კონკრეტულ პირადნებას, არამედ კლუბ თბილისის „დინამოს“, არა თანმიების დატაცებას, არამედ, ბიუჯეტთან მიმართებაში მომხდარ გარკვეულ დარღვევებს, რომელსაც ობიექტური მიზეზები ჰქონდა. ბიუჯეტთან ანგარიშსწორება უნდა მოეხდინათ კლუბის იმდროინდელ მეპატრონეებს, რომელთაც როგორ და რა გზით, ფაქრთულ კლუბი. კარგად მოგეხსენებათ. ახალი ხალხი და ახალი სტრუქტურა, როგორც ყველა „დინამოს“ სპორთალმემკვიდრე, ვალდებული იყო გაეცნო ბიუჯეტის ანგარიშსწორება უნდა მოეხდინათ კლუბის იმდროინდელ მეპატრონეებს, რომელთაც როგორ და რა გზით, ფაქრთულ კლუბი. კარგად მოგეხსენებათ. ახალი ხალხი და ახალი სტრუქტურა, როგორც ყველა „დინამოს“ სპორთალმემკვიდრე, ვალდებული იყო გაეცნო ბიუჯეტის ანგარიშსწორება. ეს ვალები. 1998 წელს სფფ-ში ჩემი გაპრეზიდენტობისას დაგხვდა 600.000 აშშ დოლარის ბიუჯეტი ვალი, რომელიც ისე დავფარეთ, რომ არავინ შეწუხებულა და არავის გაუგია. ფედერაციაში დღესაც დევს „დინამოს“ ძველი მეპატრონეების საჩივარი, რომლებიც უსამართლოდ მი-

იხ. გვ-3 გვ.

შოთა აზალაძე - თბილისის ჩემპიონი

თბილისის ჩემპიონატში 20 წლამდე ასაკის მოჯადაკეთა შორის შოთა აზალაძემ იმარჯვა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა მოაგროვა.

გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩნენ თორნიკე სანაიძე და ლუკა ბრეგაძე, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტების წყალობით სანაიძემ მეორე ადგილი მიენიჭა. ეს სამეული საქართველოს პირველობაზეც ისპარინგზეს, რადგან დებიუტების თანახმად, თბილისის ჩემპიონატი იმავდროულად ქვეყნის პირველობის შესარჩევი ეტაპიც იყო.

გოგონათა ტურნირში უძლიერესი იყო ანა გავაშელი, რომელმაც 6 ქულა დააგროვა და ერთი ქულით ჯობნა მაკა ფურცელაძეს. სანტერესოა, რომ შვიბრძნის ბოლო ტურის წინ გავაშელსაც და ფურცელაძესაც 5-5 ქულა ჰქონდათ და სწორედ მათ შორის შედგა გადაწყვეტი ბრძოლა ბოლო ტურში. გავაშელმა იმარჯვა და ჩემპიონობაც მას დარჩა. 4,5 — 4,5 ქულა დააგროვეს თეონა მესხმა, ანა ბუცხრიკიძემ და თამარ სამნიაშვილმა, აქაც ხუთწუთიანი კოეფიციენტები „ჩაერია“ და მესამე ადგილი მესხს მიეკუთვნა.



ზაზა აზალაძე

მილოცვა

ბაბონ როინ მეტრეველს

თქვენო ალმატებულება, ბატონო რექტორო!

გილოცავთ დაბადების დღეს!

მსოფლიოს ცივილიზებული ხალხის ისტორიაში 7 რიცხვი საკრალურია!

მით უმეტეს ქართველთა ისტორიულ ცხობიერებაში. ჩვენი სათაყვანებელი ბატონო როინ! თქვენ დაბადების დღეც 7 დეკემბერია!

თქვენ მამობრივი ზრუნვითა და სიყვარულით გამობრთ - ვაჟბატონი და ჩვენც ვამაყობთ თქვენით!

თქვენი ზნეკეთილობა და ღიმილიანობა ჩვენი წარმატების საწინდარია სწავლა-ცოდნის პარალელურად თქვენი ცხოვრება ჩვენთვის სამაგალითოა! გილოცავთ და ვეიღებთ, მუდამ გასახელო თქვენ და ჩვენი საკრალური უნივერსიტეტი! გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებას!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალსაინაო სპორტული კლუბის წევრების სახელით – ოლიმპიური თამაშების პრიზიორები, მსოფლიოს და ევროპის მრავალჯერ ჩემპიონები და პრიზიორები, მსოფლიო უნივერსიადების გამარჯვებულები, მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები და პრიზიორები: ლელან კურტანიძე, გიორგი ასანიძე, გიორგი მინდორაშვილი, ბაგრი ხასიაი, დათო კვეხვეიანი, დათო მარგიანელი, კახი კალაძე, ნინო ხურციძე. გიორგი ჯიშკარიანი. კალათბურთის, ფეხბურთის, წყალბურთის, რაგბის, ჩოგბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, კრივის, მკლავჭიდის, ძალოსნობის, ჭიდაობების, აღმოსავლური ორთაბრძოლების, ცურვის, მძღეოსნობის, აღჭინჩხმის სპორტული გუნდები და კლუბები.

* * *

„ლელოს“ რედაქცია გულწრფელად უერთდება ამ მილოცვას.

ორგზის ჩემპიონები

საქართველოს ქიუდოისტთა ეროვნული ნაკრები მეორედ ავიდა ევროპის ბუნდური ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე

კონტინენტის უძლიერესი ოთხეული გასული კვირის ბოლოს ლონდონში შეიკრიბა ევროპის უძლიერესი გუნდის და ორი პრიზიორის გამოსაკენად. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გამოკვეთილი ფავორიტები ამ მაღალი რანგის ტურნირში იყო საქართველოს ნაკრები და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი კონტინენტის გასული წლის გამარჯვებულის რანგში ჩავიდა ბრიტანეთში, არამედ იმიტომაც, რომ ქართული ძიუდოს სკოლა, ტრადიციულად ერთ-ერთი საუკეთესოდ აღიარებული მთელს მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგ გადაჭრით რამეს თქმა, არ შეიძლებოდა. დიდ ეჭვს იწვევდა მსაჯთა მიკერძოება, რაც დადასტურდა კიდეც ასეთი მოლოდინი ჩვენი ბიუჯისთესაც კარგად იყო ცნობილი და თითოეულმა, მთავარმა თავდაზღვამად იბრძოლა, როგორც ხალისზე უშეალო მებრძოლი, ისე მსაჯთა შეტყობის მოსაგერიებლად.

„ბიუჯმა ნამდვილად რანიღაც ეაართეს თავი და ბასკონიგებრძოლა, მაღლობელი ვარ თითოეული შემართებით“ — ოტყვა სპორტო გამარჯვებით გაბარებული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შესანიშნავი სპეციალისტი და პიროვნება შოთა ბახარელი.

სპორტო გამარჯვება კი ბეწვზე ეკიდა. როგორც შარშან, წლეულსაც, უძლიერესი გუნდის ბედი ფინალში ეწყდა გადაწყვეტის ჭიმმეწონასთან შერკინების შედეგს. ამჯერადაც ალეშა დავითაშვილს ხვდა წილად სპორტული ნაკრების სნაპ, რასაც ამ რაინდმა ღირსეულად გაართვა თავი. ფინალში კი მაშინ, როცა ანგარიში იყო 3:3, ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ესპანეთის და საქართველოს ნაკრები გუნდები, რომლებმაც მანამდე ნახევარფინალში სძლიეს მეტოქეებს (ქართველებმა — მასპინძლებს, ესპანელებმა — უკრაინელებს).

ალეშა დავითაშვილ ეერთის ჩემპიონი ატანი რუანით დაუპირისპირდა, რომელიც წონა დიდად აღემატება ჩვენი ფალეანისას. მიუხედავად ამისა, ქართველმა ძიუდოისტმა შეძლო მრისხანე მოწინააღმდეგის დამარცხება და საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მეორედ მოუტანა ევროპის გუნდური პირველობა.

საგანგები „გუმათე“ — „ლელო“.

წოდების მიღიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაბადებიდან 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტის დამსახურებული მეშაკის წოდება მიანიჭა ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენისა და ღირსების ორდენის ორგზის კავალერს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბერძენეროვნულ ჭიდაობაში მიხეილ სალაძეს.

კალათბურთი ● ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

„ბასკო“ წინ წაიწია

„ლელოს“ წინა ნომრიში ალათბურთში ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის II წრის დეკემბრის პირველ კვირაში გამართული მატჩების შედეგები გაგაცანით, ბარდა ერთისა — „ბასკო“ — „ქუთაისის“ შეხვედრა დეკემბრის ერთი ღლით გვიან, 5 დეკემბერს გაიმართა ბათუმში. ეს ეს არ იწყვევა, რომ ქუთაისური მეტოქისთვის სხვები მეტიც იყო და რომ ბათუმელებს სულაც არ გაუპირატესობათ სტუმართა ატეხა. ვარაუდი, თუ ამას ვარაუდი ეთქმოდა, გამართლდა — „ბასკომ“ ატუპაციები, როგორც იტყვიან, გააკეტერა. ქუთაისელები მატჩში არც ერთხელ არ დაწინაურებულან, საბოლოო ანგარიში 104:47 ეი თაესთავად მეტყველებს იყო ის ფაქტი, რომ ბათუმელებმა ამ მატჩში 3 ქულით ჯობნეს ქუთაისელებს, ხოლო ორ ქულით ჯობნეს ბათუმელებს ბრძოლაში ბრინავის ტიტულისთვის მებრძოლ ბორჯომელებს.

გათამაშების ცხრილი					
1.	დინამო	14	11	2	+269 24
2.	თსუ	13	9	4	+106 22
3.	სტუ-ჯუოს.	12	9	3	+197 21
4.	ბასკო	11	9	2	+295 20
5.	რუსთავი	12	6	6	+12 18
6.	მაკაბი	12	4	8	-98 16
7.	სსუ	13	2	11	-302 15
8.	ქუთაისი	14	0	14	-479 14

მერაბ და მესამე საფეხურზე მყოფ ლიდერებს შესაბამისად 2 და 1 ქულა აშორებს.

ბათუმელთაგან ამ მატჩში ყველაზე შეუდგენი იყო იმხანგ 20 ქულა მოაგროვა და 11:6, ყაზანის „სინთეზს“ — 10:7, ასტანახის ნაკრებს — 6:4 და მოსკოვის „ტორპედოს“ — 7:6, ბოლო მატჩი კი დაიმეს ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ — 8:10.

შეიძლებოდა თუ არა ბოლო მატჩის მოგება? „სპეციალ ანგარიშში, როგორც ხდებოდა, მინიმალური, ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ მოღონე 9 წყლბურთელი წავიყვანეთ უსახსრობის გამო, ბიუჯეი გადაიღალნენ“ — თქვა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ.

კითხვაზე, ახლო მომავალში თუ რა შეიძინება ელით ჩვენს ჭაბუკებს, ს. მაისურაძემ უპასუხა: „გადაწყვეტილი გვაქვს მონაწილეობა უკრანის ღია პირველობაში, რომელიც მაღე, 14 დეკემბერს დაიწყება. მონაწილეობა — არამონაწილეობა დამოკიდებული ფინანსებზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერაც არაა მოძიებული“.

„ლელოს“ რედაქცია მიმართავს ყველას, ვისაც შესაძლებლობა აქვს, დაეხმაროს ჩვენს ჭაბუკთა გუნდს, ამით თქვენ დაეხმარებით ქართული წყალბურთის ხალინდელ დღეს. მტაცეც სიფუძველს ჩაეუჯრით მომავალ ეროვნულ ნაკრებს, რომელზედაც ამდენი ხანია ეოცნებობთ.

გ. ბაძრაძე.

შეკითხვა „ლელოს“!

შეკითხვა: ამბობენ, რომ „ფორმულა-1“-ის მრავალგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი ძმასთან, რალფთან ერთად სამშობლოდან – გერმანიიდან უცხოეთში გადასახლდნენ თავის ქვეყანაში დიდი გადასახადების გამო. მართალია თუ არა ეს ცნობა?

ბიბი სანაძე,
თბილისი.

პასუხი: დიახ, ფაქტიც მართალია და მიზეზიც. სხვათა შორის, ძმები შუმახერები პირველები არ არიან, ვინც გერმანიაში დიდი გადასახადების გამო გაემგზავრნენ ან გარბიან ისეთ ქვეყნებში, სადაც შემოსავლებიდან ბეგარა დაბალია. შუმახერების გარდა ესენი არიან ფრანგ ბიზნესმენი, ბორის ბეკერი, იან ულრიხი, მიხაელ შუხი...

დაფრნი, რომ ევროპის ქვეყნებიდან გერმანიაში საშემოსავლო გადასახადის ყველაზე მკაცრი სისტემა მოქმედებს.

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 3 თვე გვაშორებს

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 249 დღე დარჩა

მკრეხელობა გაბედავრჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

ვირაბ კაზარიანი

ნორჩი ჩემპიონები და პრიზიორები უფროსებთან ერთად

„პატარა ჩოგანი" მე-80 სკოლაში

ისანი — სამგორის რაიონში, მე-80 რუსული სკოლის სპორტდარბაზში გაიმართა ღია ტურნირი თბილისისა და ბათუმის სკოლების მაგიდის ჩოგბურთელთა მონაწილეობით. ამ სპორტული შეჯიბრების ორგანიზატორები არიან მე-80 სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი და მაგიდის ჩოგბურთის მწვრთნელი სუსანა გელავა, სკოლის დირექტორი ვალენტინა მარახოვეცი და პანსომხური თამაშების მონაწილეთა სიყრთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი მიხეილ სუმბათიანი.

გოგონათა შორის ღია პირველობის გამარჯვებული გახდა მილენა ავიაზოვა (89-ე სკოლა), მეორე ადგილზე გავიდა ნინო ჩიჭავაძე (ბათუმის 1-ლი სკოლა), მესამეზე — ნათია კაციტაძე (84-ე სკოლა).

ბიჭებში პირველობა მოიპოვა ვირაბ კაზარიანმა (93-ე სკოლა), მეორე იყო გიორგი პოლოსიანი (მე-7 სკოლა), მესამე ადგილზე გავიდა დავით სატურია (მე-80 სკოლა).

ყველაზე პატარა მონაწილის პრიზი წილად ხვდა 8 წლის ბათუმელ ხამიდ კარაკულაშ ოღლის.

რობერტ ბაგრიანის ფოტოები.

«ლელოს» რედაქციას

„ლელო" ყოველთვის იდგა და დგას ქართული სპორტის სადარაჯოზე.

ჩვენ, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის, მწვრთნელ-მასწავლებლები და მოსწავლეები, მოგვმართავი თხოვნით მიაწვდინოთ ჩვენი ხმა საქართველოს პრეზიდენტის მოადგილის შემსრულებელს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას, რათა სახელმწიფო კანცელარიასთან მომხსენიებელი გისოსები გადმოგვცენ ცნობილი №35-ე საუნჯებურთო სპორტული სკოლისათვის, სადაც აღიზარდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული ფეხბურთელები, რომელთა გვარების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. ამით გაქვთებოდა საშვილიშვილო საქმე, რომელიც, დიდად წაადგებოდა ქართული სპორტის განვითარებას.

პედკოლექტივის სახელით

თ. ლორთქიფანიძე
დირექტორი, დოცენტი.

განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

„სპორტული რეზერვების მომზადების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 39 ლარი თვეში)

კონკურსის პირობები:

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისწვდომობას ყველასთვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე იმ პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

„კანონის შესაბამისად მისაღები განცხადებების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის — 21-დან 65 წლამდე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

უფროსი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა:

— უმაღლესი სპეციალური განათლება;

— სპორტის სფეროსთან დაკავშირებული და საერთო განრიგდებლობისა და ნორმატიული აქტების ცოდნა;

— კომპიუტერზე მუშაობის გამოცდილება;

— ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

კონკურსის ატარებს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საკონკურსო — საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების სამმართველოში უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია წერილობით განცხადებასთან ერთად;
2. განათლების დამადასტურებელი მოწმობა;
3. უკეთ გაეცნეთ შრომის წიგნაკი.

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნებიდან ხუთი დღის შემდეგ საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში.

კონკურსის წარმატებით გასვლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო — საატესტაციო კომისიის შემდეგ მისამართზე: 0162 — ქ. თბილისის, ილ. ჭავჭავაძის გამზ. — 49 „ა" საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი. ტელ: 23-41-96.

გამოწმაურება

სპორტი და მეცნიერება განუყოფელია

სპორტისა და მეცნიერების შემოქმედებითი კავშირის კარგი მაგალითი იყო წარსულში საბჭოთა სპორტსმენების, მათ შორის საქართველოს სპორტსმენების მსოფლიო ძიღწევები და აღიარება. მაგრამ ეს იყო წინათ. დღეს ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენთან, საქართველოში ეს კავშირი მოიშალა. სპორტსა და მეცნიერებას შორის წარმოიშვა დისბალანსი, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე. არადა, თანამედროვე სპორტში შედეგები ადამიანის პოტენციური შესაძლებლობების ზღვარზეა მისული, რაც კიდევ უფრო ართულებს სპორტში მოღვაწეობას. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ფიზიკური შესაძლებლობებით დაჯილდოებული ადამიანი სპორტში წარმატებებს ფიზიკური მონაცემების ბარიზე აღწევდნენ. დღეს ამისათვის სპორტსმენს ორგანიზმის შესაბამისი განვითარება სჭირო, რაც ბანგრძლივი პროცესია და მეცნიერულად დამუშავებული წვრთნის თანამედროვე მეთოდებზე დაფრდნობით უნდა ხორციელდებოდეს. სპორტული მოღვაწეობის დღევანდელ ეჭტურმალურ ვითარებაში განეზომლად იზრდება სპორტული წვრთნის საკითხების, კერძოდ, მეთოდური, ორგანიზაციული, სტრუქტურული და სხვა მასთან დაკავშირებული საკითხების მეცნიერულად დამუშავების აუცილებლობა. იგი კომპლექსურად უნდა დამუშავდეს, მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა ფართო მონაწილეობით. ამ საკითხში მეცნიერებთან ერთად პრაქტიკოსებიც უნდა ჩაერთონ, მათ შორის მოქმედი სპორტსმენები. არ შეიცდებით თუ ვიტყვით, რომ დღეს ჩვენში სპორტისადმი სამეცნიერო ურწმუნოება მხოლოდ სამეცნიერო მომსახურების შემოიფარგლება და ისიც არა სპორტის ყველა სახეობაში.

სპორტისა და მეცნიერების ურთიერთობის ასეთი მოუწესრიგებლობა დღეისათვის საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობითაა განპირობებული. სპორტის დეპარტამენტი დაფინანსების მიზნით ვერ ახერხებს მეცნიერებაზე მცირე ნაწილის გამოყოფასაც კი. მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, ორგანიზაციული და სტრუქტურული მოწესრიგებულობის შემთხვევაში შესაძლებლად მიგვაჩნია ამ მიმდინარეობის ზოგიერთი ელემენტის დაჯერა, ადრე არსებული კავშირების აღდგენა. თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ სპორტის მეცნიერების განვითარებაში საქართველოს საკმაოდ მდიდარი ტრადიციები გ[illegible] ტრადიციული სამეცნიერო [illegible] ინსტიტუტი [illegible] საბჭოთა კავშირში პიონერად [illegible] დაარსდა [illegible] წელს), გვაქვს ფიზიკური აღზრდის [illegible] ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკვლევი ინსტიტუტი, გვყავს მეცნიერების დოქტორები და მეცნიერების კანდიდატები, მაშინ გასაგებია, რომ აღნიშნული საკითხის მოგვარება და კოორდინირება გადაუჭრელ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ალბათ, საჭირო იქნება სარგანიზაციო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს მოსაზრებებს სპორტში საფეხბურთო კომპლექსური სტრუქტურის შექმნისათვის. წინ ხომ უამრავი სპორტული ღონისძიებები გველოდება, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სპორტსმენების თანამედროვე დონეზე მომზადებას საჭიროებს?

ზვიად ბუაძე
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტი, პედ. მეცნ. კანდიდატი.

ძმეები დარბაისლების ხსოვნის ტურნირი

გარდაცვლილ სახელოვან სპორტმოღვაწეთა ხსოვნის უკდავყოფა რომ ღირსეული საქმეა, ეროდესც ყოფა დაამტკიცა ვეტერანმა მოკრივემ, სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა გიორგი ჩიჭაძემ, რომელმაც ამ დღეებში „თბილისამშენის" სპორტკლუბ „შევარდნის" ყოფილ დარბაზში წარსულში ცნობილი მოკრივეების, ძმები გიგი და ნოდარ დარბაისლების ხსოვნისადმი მიძღვნილ ჭიდაობის ტურნირის ჩატარა საფეხბურთო. ასპარეზობაში მონაწილეობდა რ. ცაბაძის, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ნ. ნამოვიშვილის, ა. ბალაშელის სკოლების, „მართვის", „შევარდნის" და თსუ-ს სამღეი მოკრივე (მთავარი მსაჯი ვ. ყველაშვილი). სასპორტო სტუდარია შორის იყო გიგი დარბაისლის ვაჟი — ლევანი.

გაგაცნობთ ტურნირის გამარჯვებულებს: 26 კგ — გ. გაბოძე („მართვა"); 28 კგ — ი. სონელაშვილი (ნორიო), 30 კგ — ლ. ცუცქირიძე („მართვა"); 32 კგ — რ. ბროიანი (ნორიო); 34 კგ — ვ. იმნაძე („მართვა"); 36 კგ — ა. აბასოვი (რ. ცაბაძის სკოლა); 38 კგ — ზ. კვაქუტაძე („მართვა"); 40 კგ — გ. ფოცაიური (ნორიო); 42 კგ — ა. რევაზოვი (რ. ცაბაძის სკოლა); 44 კგ — ლ. ქილები („თბილისამშენი"); 46 კგ — ზ. ლიღეიშვილი; 48 კგ — ბ. ფანჩულიძე (ნორიო — ა. ბალაშელის სკ.); 50 კგ — ბ. სანაია (რ. ცაბაძის სკ.); 57 კგ — რ. გეგეჭკორი („შევარდნი"); 60 კგ — ვ. ელისაბედაშვილი; 66 კგ — ო. ცუციშვილი (ნორიო); 69 კგ — გ. მიქავა („თბილისამშენი"); 71 კგ — ლ. ზოძია („შევარდნი").

ძმები დარბაისლების, ალერეიდ სატყვისო მოკრივე პრიზი უმცროს ასაკში გადაცა ზაალ კვაქუტაძს; ძმები დარბაისლების ხსოვნის მთავარი პრიზი ერგო ლევან ზოძიას. ტურნირის სატყვისო ორთაბრძოლად აღიარეს ვ. ელისაბედაშვილ — ვ. კურტანიძის შეხვედრა, რომელთაც გადიეკეთ სათანადო დიპლომი და პრიზზე.

გ. ჩიჭაძის თაოსნობით, წლეულს მიღწეული სატყვისეო შედეგებისათვის დაჯილდოვდნენ ჭიდაკი მოკრივეები გ. ჭყონლი (რ. ცაბაძის სკ.), ა. არაბელიდი და გ. მიქავა (ნორიო „თბილისამშენი"), დაჯილდოვდა ავრეთვე მწვრთნელი ჩ. მუხაღელოვი. აღსანიშნავია, რომ ტურნირს მსაჯობდა და ამ მოკრივეებს უფროსებზე არანაკლებ ღირსეულად გაართვა თავი 15 წლის ალეკო არაქელოვმა.

„უდიდესი მადლობა ყველას და პირველ ყოვლისა ბატონ გ. ჩიჭაძეს ასეთი ტურნირის ორგანიზებისათვის" — თქვა ლ. დარბაისელმა.

გ. ჩიჭაძემ: „ამ ტურნირით ვცდი მოვიხადე ჩემი მეგობრების ხსოვნის წინაშე. მაწუხარია, რომ შეჯიბრებაზე მოეხედავად გაეროხლებისა, ვერ ვიხილეთ დ. ცაბაძის სკოლისა და ზ. დუნდუას კრიის კლუბის წარმომადგენლები, მადლობა მინდა გადავუხადო გ. დარბაისელსა და ჩემს მეგობარს ა. შავიშვილს, რომელმაც უხვად მოგვამარაგა სანუკვარებით. 21 დეკემბერს ჩვენს კლუბში ყველას ველოდები. სტალინის ხსოვნის ტურნირზე".

„შესანიშნავი თამაშობაა. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ ორ კილოგრამიანში ორი ევროპელი ჩაგვიდგა მზეი დარბაისლების ხსოვნის ტურნირის, რომლის ჩატარებას ბატონ გიორგი ჩიჭაძეს უფლება მიენიჭება ბატონ გიორგი ჩიჭაძეს." — აღნიშნა ტურნირის დატურნირეს რ. ცაბაძემ.

ზ. ბაბრიაძე

საგანგებოდ ტურნირისთვის დამზადებული დიპლომისა და სიგელის ნიმუშები

ჯანმრთელობის კუთხე

მარჯვენა ვარჯიშები იდეალური აღნაგობისათვის

თუ ზურგის არეში პერიოდული ტკივილები გაწუხებთ, ეს იქნება ხანგრძლივ, მოუხერხებელ პოზაში ჯდომის მიზეზი. ჩვენს მიერ აქვე შემოთავაზებული მარტივი ვარჯიშები საშუალებას მოგცემთ თავი უკეთ იგრძნოთ, გაგიმარჯვებთ ფეხებსა და ზურგის სფსტ კუნთებს. მაშ ასე:

დაიწექით მარცხენა ფეხზე, მარჯვენა ასწიეთ, მოხარეთ მუხლში. მსუბუქი მოძრაობით შეეცადეთ ხაყრდენი ფეხი. ვარჯიში გაიმეორეთ 10-15-ჯერ. ისუნთქეთ ღრმად, ახლა დაიწექით მარჯვენა ფეხზე, ოღნავ მოხარეთ მუხლში. მარცხენა თავისუფლად აქანავეთ, თითქოს წრეებს ხაზავთ. შემდეგ ეს ვარჯიში გაიმეორეთ მეორე ფეხზე.

არ დაგავიწყდეთ სწეული მასაჟი!

UNITE AGAINST RACISM

ფეხბურთი რასიზმის გარეშე

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა
Coca-Cola
ბენეფიციარი სპონსორი

„დინამო“ (თბ) - „დინამო“ (ბთ) 5-0

დასრულდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი და გაირკვა, თუ რომელი გუნდები ისპარეზებენ ზედკვსეულში. თბილისში, ეროვნულ სტადიონზე შემოდგომის ლიდერმა „დინამომ“ ბათუმს უმასპინძლა და დამაჯერებლადაც გაიმარჯვა. არადა, ზღისპირეულს სამი ქულა ჰ ადერიით სპირდებოდათ, რის შემდეგაც გაინადგებდნენ ადგილს სანუკვარ ქმსეულში. მაგრამ დედაქალაქელები მინდორზე მხოლოდ მოგებისთვის გავიდნენ. „უბრალოდ, ვილდებულები ვიყავით, რომ მოგვეგო, ეს ხომ ბოლო შეხვედრა იყო“ — განაცხადა ივო შუშაკმა.

ამპარულმა სეზონის ერთ-ერთმა სუსტი შეხვედრა ჩაატარეს, რაც ანგარიშიდანაც ჩანს. მეკარე დამაჯერებლად ვერ თამაშობდა, რომელიც მეორე ტაიმში შეცვალეს კიდეც. მცველები ბევრ შეცდომას უშვებდნენ, ფორვარდებს კი ერთხელაც არ შეუტევიათ სახიფათოდ გვარამაძის კარისკენ. დინამოელებზე კი პირიქით ითქმის. მეკარეც კარგ ფორმაში იყო, დაცვაც მეტ-ნაკლებს არ აძლევდა, ნახევარდაცვა და ფორვარდები კი თავიანთ საქმეს ჩინებულად ასრულებდნენ.

ანგარიში თამაშის დაწყებიდან მე-5 წუთზე გაიხსნა, როდესაც ანჩაბაძემ საჯარიმოში ლაქუჩიძე მოგებნა. რატიმ არ დააყოვნა და თავისი გუნდიც დააწინაურა. არ გასულა სამი წუთი, იაშვილმა საგოლე მოგებული ხელიდან არ გაუშვა და 2-0. 30-ე წუთზე გოგობერიშვილმა მცველებისგან მარტიდ დარჩენილი იაშვილი მოძებნა, სანდომ კი დუბლი შეასრულა. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ანჩაბაძემ მეტოქის კარის დალმაჭრა განიზრახა. მეკარე დაწერებაზე გამოვიდა, შეცდა, მაგრამ ერთ-ერთმა ბათუმელმა მცველმა სიტუაცია გამოსწორა, მაი ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

შემოდგომის ლიდერები არც მეორე ტაიმში მოდებებულან 59-ე წუთზე ანჩაბაძემ ჯარიმა ისტატურად კი შეასრულა, მაგრამ ბურთი ძელმა მოიგერია. 71-ე წუთზე ბათუმელების ჯერი დადგა, შენგელაიმ ჯარიმა ხახოფათოდ დაარტყა, მაგრამ გვარამაძემ უფრო უცდოსად ითამაშა. იქვე, მოგერიებული ბურთით ფირცხალაიშვილს შეეძლო ანგარიშის შემცირება, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია. დარტყმა მცირეკაძე (შველაძე 81).

მერცხალი: გია გოგუა, ჭაღიაშვილი, გ. ილურიძე, მეიანაძე, გ. წიქვინაძე, ბართია, ასკურავა (სიამაშვილი 64), მებონია (მაღლაფერიძე 74), გაბედავა, კალანდაგი, ხუმუა.

გოლები: 1-0 ალადაშვილი (5), 2-0 ტატანაშვილი (45) 69-ე წუთ-ზე პენალტი ვერ გაიტანა ჩიკვილაძემ.

გაყვითლებულნი: ბოლქვაძე (51), მებონია (78), ბართია (87)

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი).

თბილისი. 7 დეკემბერი. ეროვნული სტადიონი. 500 მაყურებელი
დინამო (თბ) – დინამო (ბთ) 5-0

დინამო: გვარამაძე, ახალაია, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკვარია (სახვაძე 80), გოგობერიშვილი, დარასელია (ანდღულაძი 41), ანჩაბაძე, იაშვილი, ალეკსიძე (ბობოხიძე 76).

დინამო: ქუჩხანია (ბალაძე 46), კოხაძე (ფირცხალაიშვილი 46), გალოგანაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშტარაშვილი, მაზარაძე, ცანავა (დარჩიძე 46), ქაცარავა, ი. შენგელია, მანჩხავა, კაკალაძე.

გოლები: 1-0 იაშვილი (7), 2-0 ალეკსიძე (25), 3-0 იაშვილი (31), 4-0 ალეკსიძე (72), 5-0 იაშვილი (80).

გაყვითლებულნი: გუშტარაშვილი (33)

მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

ქუთაისი. 7 დეკემბერი. სტადიონი „ტორპედო“ 3000 მაყურებელი
ტორპედო – დინამო 1-0

ტორპედო: სტურუა, ხვადაგანი, ლ. ქუთელაძე, მახელაძე, ნერგაძე, ს. თოდუა, ჩხეტიანი, გამზარდაშვილი, დარსაძე (მუშაკიძანი 75), ახალაია (ქუთათელაძე 40), ბაბაშვილი.

დინამო: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რახაპაშვილი, გ. ლომიძე, ლაცაბიძე, მარღიშვილი (ბანგიშვილი 85), ოლგასაშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, რაზმაძე, გ. ჩიტაია.

გოლი: 1-0 ნერგაძე (26)

გაყვითლებულნი: ოლგასაშვილი (50), ბ. ჩიტაია (80)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

თბილისი. 7 დეკემბერი. სტადიონი „ლოკომოტივი“ 1500 მაყურებელი
ლოკომოტივი – თბილისი 0-1

ლოკომოტივი: ხაჩირაშვილი, უგრეხელიძე, გაბაკაძე, სალუქაძე, ორბელიძე (ქოქაშვილი 62), ქემოკლიძე (ძაბაშვილი 63), სიჭინავა, ჯ. ონიანი, კობახიძე, მიქაძე, სოსილია (ბურნაძე 46).

თბილისი: ნაუჭრელა, ელიავა, კვარაცხელია, სიდამონიძე, ხოჭავა (ცეწაძე 56), მესხი, ლოლაძე, დ. ოდიკაძე (მეშარნიშვილი 75), გ. ნუგზ. ქელიძე (გოგუტა გოგუა 68), დავითაშვილი, აფციაური.

გოლი: 0-1 დავითაშვილი (71)

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი).

ბომბარდირები

განჩარაული (სიონი) — 15

გოცირიძე (ვიტ ჯორჯია) — 14

დავითაშვილი (თბილისი) — 13

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

მანძილით ასცდა კარს.

72-ე წუთზე ცვირკულიამ ზუსტი პასი მისცა ალეკსიძეს, რომელმაც ანგარიში ოთხმედ გაზარდა. მე-80 წუთზე სტუმართა საჯარიმოში დაინიშნა ჯარიმა, რომელიც კვლავ ანჩაბაძემ შეასრულა, ბურთი ბალაძემ არაზუსტად მოიგერია, რითაც იაშვილმა ისარგებლა და ჰეთ-თრიკი შეასრულა.

პრესკონფერენციაზე „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი ასლან ბალაძე გულდაწყვეტილი იყო მისი შეგირდების თამაშით. „უცვე რამდენიმე ტურია, რაც გუნდი გენეს არ ჰგავს. ვისაც ვენთობოდი, სწორედ მათ მიღალატა. დიდი იმედები ჰქონდა დარჩიძის, კობძიძის. მაგრამ ისინი ცუსტურად გამოიყენებოდნენ“. შემდეგ მწვრთნელმა დასძინა ისიც, რომ ბათუმში დაბრუნებისას, სერიოზული საბარი ეჭნება კლების ხელმძღვანელობასთან და არ არის გამორიცხული, გუნდი რამდენიმე ფუხბურთელმა დატოვოს.

ივო შუშაკი: „ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო პირველი ეტაპი წარმატებით დაგვესრულებინა დაკისრებული მოვალეობები ფეხბურთელებმა პირნათლად შეასრულეს, რის გამოც მსურს ყველა დიდი მადლობა გადავუხადო“

ლ. ჯანკოტაძე







შეჯიბრი ორად გაიყო

ექვსეულები ცნობილია

კვირას, XXII ტურის მატჩებით დასრულდა XV ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ფუძასკნელმა ტურმა საბოლოოდ დაალაგა და დაწყო ყველფერი. თუმცა მთავარი, ალბათ, კიდევ წინაა, ახლა, თითქმის ორთვიანი შესვენება გამოცდადება და მარტში განახლება პირველობა ზედა და ქვედა ექსეულებში.

ბოლო ტურამდე არ იყო ცნობილი, გარდა დაწინაურებული სამეულისა, თუ ვინ იქნებოდა კიდევ ის სამი ბედნიერი გუნდი, რომლებიც მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებდნენ. შანსი ჰქონდა ქუთაისის „ტორპედოს“, თუ დიდი ანგარიშით მოუგებდა გორის „დილას“. ბუნდოვანი, მაგრამ მაინც შანსი ჰქონდა ბათუმის „დინამოს“. ქუთაისელებმა, მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს და საუკეთესო ექსეულში ადგილი გორელებს შეუნარჩუნეს. თბილისში პირწმინდად დამარცხებენ ბათუმელები და ზედაექსეულში „ლოკომოტივი“ დარჩა, რომელიც შინაურ სტადიონზე მარილია დამარცხდა, „თბილისთან“, მაგრამ „ტორპედოს“ უოთარი შეხვედრებით ავრიდა. დაძაბულობამ პიკს მიაღწია, მაგრამ ფეხბურთის ლეგიტიკური სპორტია და ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექსეულში ისიამოვნებენ, ამ ეტაპზე გამოკელილი საუკეთესო გუნდები, სამწუხაროდ, მათ რიგებში დღეს, არ იქნებიან ისინი, ვინც, თღესდაც ქართული საფეხბურთო ელიტის სრულფასოვნი წევრები იყვნენ. „ლოკომოტივი“, „ტორპედო“ და ბათუმის „დინამო“. ქუთაისმა დარჩნენ გუნდები, რომელთაც წლეულს პრობლემები შეექმნათ. დებიუტანტებს „მცხეთას“, „სპარტაკს“ და „ზერკალს“ სატურნირო გამოცდილება არ ეყოთ. წინათ მეგამ სტაბილური „ლოკომოტივ“ ფინანსური პრობლემებია. თითბათა ცულის მტკიცნეული პროცესი მიმდინარეობს სამეზის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოში“ და კოლორიტულ ბათუმის „დინამოში“. ორივეიან პაუზას, იმედია, თითოეული გუნდი ნაყოფიერად გამოიყენებს და არსებულ მძიმე ვითარებას შესამჩნევად გამოასწორებს.

ზედაექსეულში გუნდებს სხვა საფეხბურთო ორგანიზაციებისგან ერთპირობრივი ლიდერი თბილისის „დინამო“ და მათი თანაქალაქელი „ვიტ ჯორჯია“ იბრძოლებენ. თბილისურ გუნდებს კონკურენციას, ალბათ ბოლნისის „სიონი“ და „თბილისი“ გაუწევს. მათ მარჭვენაში შეიძლება „ლოკომოტივი“ და „დილა“ გავრიონთ. მოკლეზებს წინ ნუ გავეცსწრებით, უმჯობესია მარტის დადგომას და ჩემპიონატის განახლებას დავეცდოთ.

ჩემპიონატის მეორე ეტაპზე მოასპარეზეთ ქუთაისი გაუნაზვრებთან, ქუნტი ქუთაისის მჭიდეთ ერთი ქუთაისი დაემატებათ და ასე განახლებული ქუთაისი გაადრეულებს პირველობის ორივე ექსეულსი.

სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია:

დინამო (თბ)	22	15	5	2	49-8	50 (25)
ვიტორჯია	22	12	6	4	38-15	42 (21)
სიონი	22	11	7	4	31-18	40 (20)
თბილისი	22	10	5	7	41-26	35 (18)
ლოკომოტივი	22	10	4	8	32-24	34 (17)
დილა	22	10	4	8	28-20	34 (17)
...						
ტორპედო	22	10	4	8	27-26	34 (17)
დინამო (ბთ)	22	10	2	10	26-28	32 (16)
ქოლხეთი1913	22	7	3	12	18-35	24 (12)
მცხეთა	22	6	2	14	25-55	20 (10)
სპარტაკი	22	4	4	14	14-47	16 (8)
ზერკალი	22	2	4	16	18-45	10 (5)

ფრჩხილებში მითითებულია განახვევებულ ქულათა რაოდენობა.

2003 წ. 12 დეკემბერს, 12 საათზე, სფფ-ში მოეწყობა ეროვნული ჩემპიონატის II ეტაპისა და თასის გათამაშების კენჭისყრა.

მერაბ შორდანია: „ცოტა კიდევ მადროვეთ“...

პირველი გვერდიდან

ინვევენ მათ კლუბიდან ჩამოცილებას. „დინამოს“ ბეღი ყველას გაღილვებს და იმისთვის, რომ საქმე მოგვარდეს, საჭიროა კლუბის ძველმა და ახალმა მეპატრონეებმა საერთო ენა და კომპრომისი გამონახონ. რაც შეეხება „დინამოს“ საქმის სფფ-სთან დაკავშირებას, ფედერაციის ამ კონტეტტში მოხსენიება, რისიც რომ ვთქვათ, არაკორეტტულია და წინასწარ განზრახული ჩმედებაა“.

შემდგომში მერაბ ქორდანამ კონკრეტულად საფეხბურთო საკითხებზე ილაპარაკა და შეკითხებსაც უპასუხა.

— „ექსისწორის შედეგებთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია ასეთია — ერთ-ერთ ძნელ და ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, თუმცა არსებობდა უარესი ვარიანტებიც. ჩვენს ჯგუფში მოხვედრილ ნებისმიერ გუნდთან თამაში შესაძლებელია და ჩვენი მიზანიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრაა. ყველა გუნდი თანაბარ პირობებშია და ყველას სურს ჯგუფიდან გასვლა. ამასთან, თითოეული თქვენთაგანი ხედავს, რომ ეს ხელშეუხებია, ამიტომ ფავორიტების დასახელებისგან თავს შევიკავებ.“

„რაც შეეხება ეროვნული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნას, ეს პროცესი გადამწყვეტ ფაზაშია, ივლისი ხნით მაქორეთი და 10 იანვრიდან საბოლოო გადაწყვეტილებასაც მივიღებთ. ამჟამად ეროვნული ნაკრების მწვრთნელების ორი-სამი კანდიდატია დარჩენილი და ამ ეტაპზე მათ ვინაობას არ დავასახელებ. ნაკრების შესაბედ უტხოელი სპეციალისტის მოწვევა გადწყვეტილია და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შესარჩევი ჯგუფი ფინანსური თვალსაზრისით წამგებიანი და, ფატრობრივად, ნულის ტოლია, მწვრთნელის ანაზღაურების საკითხი გადაჭრილია“.

— „ალეძარიან დაკავშირებით, ან კიევში, ან სტამბოლში შევხვდებით, მერე განისაზღვრება ამხანაგური მატჩების კალენდარიც გადაწყვეტილია კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრება. ლაპარაკია განის ნაკრებთან მატჩზე და მოსკოვის ტრადიციულ ტურნირზე მონაწილეობაზე, რომელიც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წინ გაიმართება. ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან კონტრაქტს ერთ შესარჩევ ციკლზე გავაფორმებთ, რაც სრულიად საკმარისი იქნება მისი მუშაობის შეფასებისთვის“.

პრესკონფერენციის ბოლოს საუბარი გუშინწინ დასრულებულ ეროვნული ჩემპიონატის პირველ ეტაპსაც შეეხო.

— „ჩემპიონატი დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს. პრიორიტეტი ფეხბურთის ლიგა ნაყოფიერად მუშაობს და საფუძველი ეყრება ბევრ ახალ წამოწყებას, კონკურენციის, რომლებიც წინსულის მაჩვენებელია.

სერიოზული და საინტერესო წამოწყებაა კლუბების ნაკრების ჩამოყალიბებაც, რომელიც რამდენიმე დღეში წარსდგება გულშემატკივების წინაშე“. (12 დეკემბერს, 14 საათზე, „ლოკომოტივის“ სტადიონზე რასაზმის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ეგიდით გაიმართება კლუბებისა და საკართველოში მოღამაზე ლეგიონერების ნაკრებთა მატჩი).

იანვარიც მალე მოვა და ნაკრების მწვრთნელის ვინაობასაც შეეიტყობთ, წინ კი ეროვნულ ნაკრებს საინტერესო და რთული ბატალიები ელის.

მიხეილ საბახტარიშვილი

საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!

XXII ტურის სპაგისპირია

ოფიციალური ოქმების მიხედვით

ფოთი. 7 დეკემბერი. სტადიონი „ფაზისი“. 500 მაყურებელი
კოლხეთი 1913 – მცხეთა 3-2

კოლხეთი: ბათიაშვილი, ქიტარი, თაყაიშვილი, ლონდო, ზალამბერიძე, კრასოვსკი, დიდანიძე, მარგალიტაძე, ნარსია, გ. ტაბატაძე.

მცხეთა: ცინცაძე, სიამაშვილი, თ. ჯაფარიძე, ჩაჩუა, კირკელაძე, ცაბაიშვილი (ნინავილი 83), ავალიანი, ლ. ჩხაიძე, ბ. ნოზაძე, მელენა, პარამონოვი.

გოლები: 1-0 შალამბერიძე (5 პ), 2-0 ლონდო (20) 2-1, 2-2 პარამონოვი (26,42), 3-2 კრასოვსკი (89)

გააფრთხილეს: თ. ჯაფარიძე (76).

მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი)

თბილისი. 7. დეკემბერი. სტადიონი „შევარდენი“ 200 მაყურებელი
ჭიტ ჯორჯია – სიონი 2-0

ჭიტ ჯორჯია: მამარაშვილი, გ. გოჩაშვილი, ინწკირველი, ლ. მერებაშვილი (ზვ. ლაბაძე 88), გელენსიანი, დოლმელაშვილი, ლ. ნოზაძე (ფეიქრიშვილი 84), დეკანოსიძე, მარეკლაძე (დათუნაშვილი 65), ჩ. გოცირიძე, ადამია.

სიონი: ჯოლოკავა, ბაკრაძე, ჭიჭვაშვილი, შ. ხუხაძე, გილაური, გაბიდაური, გაბისკირა, კოშკაძე, გონაროვი, ფანჩულიძე, გ. შენგელია.

გოლები: 1-0 მარეკლაძე (57), 2-0 ადამია (85)

გააძევეს: ფანჩულიძე (44)

მსაჯი: ა. მეშოყი (თბილისი)

თბილისი. 7. დეკემბერი. სტადიონი „ოლიმპიკი“ 200 მაყურებელი
სპარტაკი – მერცხალი 2-0

სპარტაკი: მამალაძე, გ. დოლიძე, ფეანია, ჩიკვილაძე, ა. იმნაიშვილი. კვერნაძნელაძე, კ. ალადაშვილი, ბოლქვაძე, ფირცხალაძა (ბ. გოცირიძე 78), ტატანაშვილი (ებრალიძე 85), კოტრიკაძე (შველაძე 81).

მერცხალი: გია გოგუა, ჭაღიაშვილი, გ. ილურიძე, მეიანაძე, გ. წიქვინაძე, ბართია, ასკურავა (სიამაშვილი 64), მებონია (მაღლაფერიძე 74), გაბედავა, კალანდაგი, ხუმუა.

გოლები: 1-0 ალადაშვილი (5), 2-0 ტატანაშვილი (45) 69-ე წთ-ზე პენალტი ვერ გაიტანა ჩიკვილაძემ.

გააფრთხილეს: ბოლქვაძე (51), მებონია (78), ბართია (87)

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი).

თბილისი. 7 დეკემბერი. ეროვნული სტადიონი. 500 მაყურებელი
დინამო (თბ) – დინამო (ბთ) 5-0

დინამო: გვარამაძე, ახალაია, წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკვარია (სახვაძე 80), გოგობერიშვილი, დარასელია (ანდღულაძი 41), ანჩაბაძე, იაშვილი, ალეკსიძე (ბობოხიძე 76).

დინამო: ქუჩხანია (ბალაძე 46), კოხაძე (ფირცხალაიშვილი 46), გალოგანაძე, ბეგლარ თედორაძე, გუშტარაშვილი, მაზარაძე, ცანავა (დარჩიძე 46), ქაცარავა, ი. შენგელია, მანჩხავა, კაკალაძე.

გოლები: 1-0 იაშვილი (7), 2-0 ალეკსიძე (25), 3-0 იაშვილი (31), 4-0 ალეკსიძე (72), 5-0 იაშვილი (80).

გააფრთხილეს: გუშტარაშვილი (33)

მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

ქუთაისი. 7 დეკემბერი. სტადიონი „ტორპედო“ 3000 მაყურებელი
ტორპედო – დილა 1-0

ტორპედო: სტურუა, ხვადაგანი, ლ. ქუთელაძე, მახელაძე, ნერგაძე, ს. თოდუა, ჩხეტიანი, გამზარდაშვილი, დარსაძე (მუშაკიძანი 75), ახალაია (ქუთათელაძე 40), ბაბაშვილი.

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, რახაპაშვილი, გ. ლომიძე, ლაცაბიძე, მარღიშვილი (ბანგიშვილი 85), ოლგასაშვილი, სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია, რაზმაძე, გ. ჩიტაია.

გოლი: 1-0 ნერგაძე (26)

გაყვითლებულნი: ოლგასაშვილი (50), ბ. ჩიტაია (80)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

თბილისი. 7 დეკემბერი. სტადიონი „ლოკომოტივი“ 1500 მაყურებელი
ლოკომოტივი – თბილისი 0-1

ლოკომოტივი: ხაჩირაშვილი, უგრეხელიძე, გაბაკაძე, სალუქაძე, ორბელიძე (ქოქაშვილი 62), ქემოკლიძე (ძაბაშვილი 63), სიჭინავა, ჯ. ონიანი, კობახიძე, მიქაძე, სოსილია (ბურნაძე 46).

თბილისი: ნაუჭრელა, ელიავა, კვარაცხელია, სიდამონიძე, ხოჭავა (ცეწაძე 56), მესხი, ლოლაძე, დ. ოდიკაძე (მეშარნიშვილი 75), გ. ნუგზ. ქელიძე (გოგუტა გოგუა 68), დავითაშვილი, აფციაური.

გოლი: 0-1 დავითაშვილი (71)

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი).

ბომბარდირები

განჩარაული (სიონი) — 15

გოცირიძე (ვიტ ჯორჯია) — 14

დავითაშვილი (თბილისი) — 13

ბევრი ნაცნობი, ერთი უცნობი

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა

წილი ნაყარია. საქართველოს ეროვნული ნაკრები მეორე შეიდეწუნიან ჯგუფში მოხვდა. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქეები ცნობილია. ოთხ მაიგანთან არაერთხელ გვითამაშია, როგორც ოფიციალური, ისე ამხანაგური მატჩები, პირველად შეხვედრით დანიასა და ჯაზპეთის ნაკრებს, რომელიც ევროპულ საფეხბურთო სამყაროს ახლახან შემოერთდა და ყველასთვის გამოცანაა. გაგვიმართლა თუ არა ცილის ბოლოს, თითქმის ორი წლის მერე გვეცოდინება. ჯერ შეიდივე გუნდი თანაბარ პირობებშია. მეტოქე გუნდების წარმომადგენელთა თქმით, ჯგუფში თანაბარი ძალის ნაკრებებმა მოიყარეს თავი და ჯგუფის ორი უძლიერესის გამოვლინისათვის ცხარე ბრძოლითა მოსალოდნელი. წინასწარ გარანტიები არავის აქვს, ფავორიტებად კი თურქები, დანიელები და ბერძნები მიიჩნევან. სერიოზული ძალა უკრანის ნაკრები. ალბანელებს და ქართველებს ძველი ანგარიშები აქვთ და ერთმანეთს შესაძლებლობებს კიდევ ერთ შესარჩევ ცილში მოსინჯავენ. ატესტატიდრო ჯაზპეთია, თითქმის რუსული ყიდის გუნდის ჩამოწერა, თუნდაც ტურნირის დებიუტანტის, ნაცრქიანი. გარკვეული სიფრთხილით და შეფარული ოპტიმიზმით აფასებენ ჩვენს შანსებს საქართველოს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები და სფუ-ს ხელმძღვანელები.

ვალერი ჩოჭუაძია (სფუ-ს გენერალური მდივანი): „ყველას ახრი ერთია, ძლიერ და თანაბარ მეტოქეთა ჯგუფში მოვხვდით. ფონსბერიისთან არ გავვიმართლა, თუმცა ეს გადაუჭრელი პრობლემა არაა, უტხოლო მწვრთნელის მოსაწვევად თანხებს გამოვიხადით. ჯგუფის კალენდარზე, 28 იანვრიდან 5 თებერვლამდეა. სტამბოლის შეხვედრისას ვიმსჯელებთ".

გიორგი ნემსაძე (ნაკრების კაპიტანი): „თითქმის, თანაბარი ძალის მეტოქეები გვყავს. ოთხ მაიგანთან კიდეც, არ ვიცნობ ჯაზპეთის გუნდს. ჯგუფის ფავორიტებად დანიისა და თურქეთის ნაკრებებს მივიჩნევ. მონდობებისა და სწორი, გამართული მომზადების პირობებში ყველა მეტოქესთან შეიძლება თამაში".

კახა კალაძე: „ჯგუფიდან გასვლის შანსი არის, თუმცა მძიმე ბრძოლების გადატანა მოგიწევს. მთავარია, მწვრთნელთა დროზე დაინიშნოს და ნორმალური მუშაობის საშუალება მოგვეცეს".

ალექსანდრე იაშვილი: „თანაბარი, დაბალანსებული ჯგუფია. შეიძლებოდა უარეს, უფრო ძლიერ ჯგუფში მოხვედრილიყვნენ. დაბალი მატჩები გველის, მაგრამ გასელის შანსი ნამდვილად გვაქვს."

